ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 280

"13" სექტემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.18.03.033.012; №01.18.03.033.010; №01.18.03.015.016; №01.18.03.015.019; №01.18.03.015.014 და №01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1]-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის და მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას განახორციელოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 21 მარტის №19.325.430 განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად:

ა) ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, საპატრიარქოს მიმდებარედ 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.033.012);

ბ) ქალაქი თბილისი, საპატრიარქოს მიმდებარედ, ფერდობი №2-ზე არსებული 75 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.033.010);

გ) ქალაქი თბილისი, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 49 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.015.016);

დ) ქალაქი თბილისი, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.015.019);

ე) ქალაქი თბილისი, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 38 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.015.014);

ვ) ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, საპატრიარქოს მიმდებარედ არსებული 242 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.033.011).

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე